გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 174
2025 წლის 24 ნოემბერი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნების შესახებ

მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2025 წლის 14 ნოემბერს შემოსულია N20-2025318292 წერილი, რომლითაც წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 91-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს. 2025 წლის 17 ნოემბერს ჩატარდა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ერთობლივი სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი და გამოითქვა შენიშვნები, რომელიც საჭიროებს გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და 91-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ასევე ,,გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 86-ე მუხლის შესაბამისად,

1. დაუბრუნდეს გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართული შენიშვნებით.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე

საქართველო, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო GEORGIA, GORI MUNICIPALITY ASSEMBLY 218080

გორის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნების შესახებ

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

მარლენ ნადირაძე

1. *მუხლი 2. - „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება“*: ქვეპუნქტში „არაფინანსური აქტივების კლება“ დაგეგმილია 800,0 ათ.ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების ბოლო 4-5 წლის ანალიზი იძლევა იმის საფუძველს, რომ მუნიციპალური ქონებების გასხვისებიდან ბიუჯეტში შემოვა გაცილებით მეტი თანხა, რაც საშუალებას იძლევა, რომ ქვეპუნქტი „არაფინანსური აქტივების კლება“ დაიგეგმოს სულ მცირე 2 000,0 ათ ლარით.
2. *მუხლი 2. – „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება“*: პუნქტში „ნაშთის ცვლილება“ დაგეგმილია 0,0 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების ბოლო 3-4 წლის ანალიზი ასევე იძლევა იმის საფუძველს, რომ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით თავისუფალი ნაშთის ოდენობა დაიგეგმოს სულ მცირე 3,000,0 ათ. ლარით.
3. *მუხლი* 13. - „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები“: პროგრამული კოდი 02 01 „საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ – 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია 3 531,8 ათ. ლარი, რაც 2025 წლის ბიუჯეტის თავდაპირველ პროექტთან შედარებით 440,4 ათ.ლარით ნაკლებია (2025 წლის პროექტით - 3 972,2 ათ. ლარი). თავისუფალი ნაშთის და არაფინანსური აქტივების კლების მოსალოდნელი ოდენობა საშუალებას იძლევა ბიუჯეტის პროექტის აღნიშნული პროგრამული კოდი (02 01) დაიგეგმოს სულ მცირე 4 000,0 ათ. ლარით.
4. მუხლი 13. - „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები“: პროგრამული კოდი: 02 03 „წყლის სისტემის განვითარება“ – 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია 4 600,3 ათ. ლარი, რაც 2025 წლის ბიუჯეტის თავდაპირველ პროექტთან შედარებით 145,5 ათ. ლარით ნაკლებია (2025 წლის პროექტით - 4 745,8 ათ.ლარი). თავისუფალი ნაშთის და არაფინანსური აქტივების კლების მოსალოდნელი ოდენობა საშუალებას იძლევა ბიუჯეტის პროექტის აღწშნული პროგრამული კოდი (02 03) დაიგეგმოს სულ მცირე 4800,0 ათ.ლარით.

5. მუხლი 13. - „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები“: პროგრამული კოდის 02 04 „საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება“ ქვეპროგრამით 02 04 01 „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება. 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ 2 800,0 ათ. ლარი, რაც 2025 წლის ბიუჯეტის თავდაპირველ პროექტთან შედარებით 800,0 ათ. ლარით ნაკლებია (2025 წლის პროექტით - 3 600,0 ათ. ლარი). თავისუფალი ნაშთის და არაფინანსური აქტივების კლების მოსალოდნელი ოდენობა საშუალებას იძლევა ბიუჯეტის პროექტის აღნიშნული ქვეპროგრამული კოდი (02 05 03) დაიგეგმოს სულ მცირე 3 600,0 ათ. ლარით.
6. მუხლი 13. - „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები“: პროგრამული კოდის 02 01 „საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ ქვეპროგრამით 02 04 01 „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების შეძენა და მოვლა-შენახვა“ – 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 138,5 ათ. ლარი, რაც გათვლილია ვიდეო-კამერების და შუქნიშნების მოვლა-შენახვაზე. ბოლო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით ქალაქ გორში მომრავლებულმა ავტომობილების რაოდენობამ განაპირობა შიდა გზებზე საავტომობილო მოძრაობის წესების დარღვევების მომატება, რაც თავისთავად, საფრთხეს უქმნის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამ გამოწვევიდან გამომდინარე, აუცილებელია საავტომობილო მოძრაობის წესების დარღვევის დამაფიქრებელი ვიდეო-კამერების შეძენა და დამონტაჟება პირველ რიგში ქალაქის ტერიტორიაზე, რათა მოხდეს ასეთი დარღვევების დაფიქსირება და, შესაბამისად დამრღვევთა დაჯარიმება, რაც უპირველესად, შეამცირებს საავტომობილო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტებს და ამავდროულად, გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ქვეპროგრამა (02 02 04) ამ ეტაპზე დაიგეგმოს სულ მცირე 300,0 ათ. ლარით. ამის საშუალებას იძლევა არაფინანსური აქტივების კლებით და თავისუფალი ნაშთით მოსალოდნელი შემოსულობების პროგნოზი.
7. მუხლი 13. - „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები“: პროგრამული კოდის 02 05 „კეთილმოწყობა, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება 02 05 03 „მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია“ – 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 950,0 ათ. ლარი. ამ ქვეპროგრამაში დაგეგმილი თანხა აუცილებლად უნდა გაიზარდოს მინიმუმ 250,0 ათ ლარით და უნდა

განისაზღვროს 1200,0 ათ. ლარით. გაზრდილი 250,0 ათ ლარით უნდა მოხდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის ფლიგელებში გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები დაზიანებული შიდა პერიმეტრის ფანჯრების და სახურავების ჭერის აღდგენის მიზნით, ასევე გარე ფასადის დაზიანებული ლავგარდანების დემონტაჟისთვის, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

თამარ მურალოვა

01 00 მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობა (თანხის გამოყოფა).

02 01 01 სოფლების ძევერა, ქიწნისი, სათემო - შიდა და სავარგულებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება.

01 02 02 სოფლები - ძევერა-შერთულის ცენტრალური გზის სრული რეაბილიტაცია.

02 01 03 მუნიციპალიტეტის მასშტაბით დასახლებული პუნქტების (სოფლების) სახელწოდებების აღმნიშვნელი აბრების დაყენება.

საკრებულოს მიერ ქუჩებზე მინიჭებული სახელების აღმნიშვნელი დაფების მოწესრიგება.

02 04 02 ძევერის სკოლის ეზოს შეღობვა.

სოფლები - ძევერა, სათემო, ქიწნისის სკოლების ეზოს ასფალტის საფარის მოწესრიგება.

02 05 01 სოფელ ქიწნისში და სათემოში სკვერების და საბავშვო გასართობი სივრცეების მოწყობა.

02 05 03 სოფელ ძევერაში - ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია.

სოფელ ძევერაში მუნიციპალური შენობის რეაბილიტაცია.

04 01 01 მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ეზოების მოწესრიგება.

04 01 02 სოფელ ძევერის და სათემოს საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისთვის, საბავშვო, გასართობი ატრაქციონების შეძენა.

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ინვენტარის და სათამაშობის შეძენა-განახლება.

05 02 03 მუნიციპალიტეტის სოფლებში - სპორტული სექციების შექმნა, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მწვრთნელების დასაქმება, ადგილზე ახალგაზრდების დამაგრების, ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით შესაბამისი თანხის გათვალისწინება.

06 01 02 აღნიშნულ მუხლში - დაემატოს „ჩანაწერი“ და სხვა იშვიათი დაავადებები.

06 02 03 აღნიშნულ მუხლში - თანხის გაზრდა 1500 ლარამდე.

06 02 04 ყოველ მეხუთე შვილზე 5000 ლარი ფულადი საჩუქარი, მეექვსე შვილზე 6 000 ლარი, მეშვიდე შვილზე 7000 ლარი და ა.შ. - ერთჯერადად. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით.

06 02 08 აღნიშნულ მუხლში - თანხის გაზრდა 10 000 ლარამდე.

06 02 15 აღნიშნულ მუხლში - ხის კოტეჯების ჩადგმის ჩანაცვლება (შესაძლებლობის შემთხვევაში, გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში) კაპიტალური შენობებით.

კობა ბერიანიძე

1. ზეღდულეთი-კვარხეთის დამაკავშირებელი გზის (3,2 კმ) რეაბილიტაცია.
2. ბერშუეთის ცენტრალური უბნიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოასფალტება.

ნოდარ მეტრეველი

1. 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას სოფელ ფლავში სტადიონის მოწყობა.
2. სოფელ ფლავში საუბნო გზის 400 მ მონაკვეთის მოასფალტება, აღნიშნული წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის საზოგადებრივ ინფრასტრუქტურას.

ლიანა ოქროპირიძე

1. ბარათაშვილის მონუმენტის უკან მდგარი ლარნაკის ფორმის შადრევანის, როგორც უცხო ელემენტის არსებული სივრციდან გადატანა სხვა ადგილას.
2. სოფელ მერეთში ადმინისტრაციულ შენობაში ახალგაზრდული სივრცის მოწყობა.
3. სოფელ მერეთში ისაია ფურცელაძის და დიმიტრი ყიფიანის კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა.

მერაბ მელანაშვილი

1. ქვემო ნიქოზის სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა 700 მეტრზე.
2. ქვემო ნიქოზში სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა.
3. ზემო ნიქოზში სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა 300 მეტრზე.

4. ზემო ნიქოზში ტაძრის მიმდებარედ ჩასასვლელში ასფალტის საფარის მოწყობა.
5. ზემო ნიქოზში სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა.
6. ზემო ხვითის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის ასფალტის საფარის მოწყობა 200 მეტრზე.
7. ზემო ხვითში სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა.

გენო შატბერაშვილი

1. სოფ. სვენეთი- ცენტრალური საავტომობილო გზიდან სოფლის ცენტრამდე დაახლოვებით 1-კმ გზის მოასფალტება. გზა იმდენადაა დაზიანებული, მიკროავტობუსიც აღარ შედის სოფელში და მოსახლეობას ძალიან უჭირს ქალაქთან დაკავშირება.
2. სოფ.სვენეთში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნა. (მოსახლეობის მოთხოვნა).
3. სოფ.სვენეთში-ავტობუსის მოსაცდელის მოწყობა.
4. სოფ. სვენეთში- არსებული სკოლის ტერიტორიის შემოღობვა.
5. სოფ.სვენეთში - ყოფილი რიტუალების სახლის რეაბილიტაცია და გადაკეთება სპორტულ დარბაზად. ამჯერდ არსებული შენობა გამოუსადეგარია სოფლისთვის.
6. სოფ.სვენეთში-საჭიდაო მოედნის რეაბილიტაცია.
7. სოფ. რეხა-ძველი სკვერის რეაბილიტაცია და მასთან მისასვლელი გზის მოკლე მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა. (არსებულ თემასთან დაკავშირებით შეგროვლია მოსახლეობის ხელმოწერები).
8. სოფ.ხელთუბანში-მინი საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია.
9. სოფ.ხელთუბანში-სავარგულებთან მისასვლელი გზების მოწესრიგება.
10. სოფ.ხელთუბანში- გარე განათების მოწყობა და დასრულება.
11. სოფ.ხელთუბანში-დიდი საფეხბურთო სტადიონის შემოღობვა.
12. სოფ.თორტიზა - თ. იოსებიძის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია.

ნიკოლოზ ბერკაცაშვილი

1. სოფ.ვარიანი- გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხის მოწყობა.
2. სოფ.ვარიანი- სარწყავი წყლის სათავე-ნაგებობის მოწესრიგება, რაც ადმინისტრაციული ერთეულისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.
3. სოფ.ვარიანი-საუბნო გზების მოასფალტება.
4. სოფ. ვარიანში-ვარიანის მეურნეობაში დაწყებული გარე განათების დასრულება.

ავთანდილ ყაზარაშვილი

1. სოფ.ტინისხიდი- საუბნო გზის 700მ-იანი მონაკვეთის ბეტონის საფარით მოწყობა, სანიაღვრე არხებით (02 01 02).
2. სოფ.ტინისხიდი- ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია (02 05 02).
3. სოფ.ტინისხიდი - სოფლის შემოსასვლელში სოფლის აღმნიშვნელი ნიშნის დადგმა (02 01 03).

4. სოფ. ტინისხიდი - სოფელში არსებულ სკვერთან საგზაო ინფრასტრუქტურის-ხელოვნური უსწორმასწორობების მოწყობა (02 01 03)
   სოფ. ტინისხიდი - თ. ხარჩილავას სოციალურად დაუცველი, მარტოხელა, მრავალშვილიანი ოჯახის კაპიტალური ან დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა.(06 02 15)
   სოფ. ტინისხიდი - გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია (02 02 03)
5. სოფ. ტინისხიდი - სამოქალაქო ინიციატივების ხელშეწყობა (02 08)
   სოფ. ტინისხიდი - სკვერების რეაბილიტაცია (02 05 01)
   სოფ. ტინისხიდი - სოფელში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია (03 01 01)
   სოფ. თედოწმინდა - სოფელთან მისასვლელი გზის აღდგენა, მდ.ლიახვის სანაპირო ზოლის 200მ მონაკვეთი. (02 01 02)
   სოფ. თედოწმინდა - გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია. (02 02 03)
   სოფ. თედოწმინდა - სოფლის ქვემოთ დასახლებაში სკვერის მოწყობა. (02 05 01)
6. სოფ. ორთაშენი - სოფლის ზემთ დასახლებაში სკვერის მოწყობა. (02 05 01)
7. სოფ. ორთაშენი - საუბნო გზის ასფალტის ან ბეტონის საფარით მოწყობა, სანიაღვრე არხით 200მ. (02 01 02)
8. სოფ. ორთაშენი - ავტობუსის მოსაცდელების მოწყობა 5 ადგილას 02 05 07)

ზურაბ ყაჯრიშვილი

1. სოფ. შინდისი - 2008 გმირების მემორიალის მიმდებარედ, სასმელი წყლის ქსელის მოწესრიგება.
2. სოფ. შინდისი - სამ უბანში არის წყლის მიწოდების პრობლემა, რადგან სისტემა არის მოძველებული და ამორტიზირებული. აღნიშნული სისტემის რეაბილიტაციისთვის პროექტის შეძენა და ახალი სისტემის მოწყობა. (სავარაუდო თანხა 170 000 ლარი).
3. სოფ. შინდისი - 2008 გმირების მემორიალის მიმდებარედ, საერთო საცხოვრებელ ბინებში არის მოწყობილი საკანალიზაციო ქსელი, საჭიროა დამატებით გამწმენდის მოწყობა შემკრებიდან.

ირაკლი ჯალაბაძე

1. სოფელ ქორდში მოასფალტდეს გზის 900 მეტრი მონაკვეთი. აღნიშნული გზის მონაკვეთი სოფელს შუაზე ჰყოფს და არის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი.
2. სოფელ დიცში მოასფალტდეს სასაფლაოსთან მისასვლელი 300 მეტრიანი გზის მონაკვეთი.

შოთა ვანიშვილი

1. ბნავისი-ოლოზი-ღვარების ცენტრალური გზის დარჩენილი 4კმ გზის მოასფალტება.
2. წედისის საუბნო გზის მობიტონება 500 მეტრი
3. ატენის ხიდების რეაბილიტაცია
4. ატენის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია.

ასმათ ტალახაძე

1. 02 01 02 გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია. (გაიზარდოს თანხა).
2. 02 08 სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა. (გაიზარდოს თანხა).
3. 05 02 05 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (დიფერენცირების გარეშე საათობრივი ანაზღაურების გაზრდა 25ლარამდე)

ზურაბ ზურაბაშვილი

02 03 04 სანიაღვრე სისტემებზე გამოყოფილი თანხის გაზრდა.

დავით კუპრაძე

06 01 03 ონკოლოგიური ავადმყოფის სტაციონარული მკურნალობის, კვლევების და მედიკმანეტების თანხის გაზრდა.

06 01 05 ეპილეფსიით დაავადებული პაციენტების, პარკინსონიზმით დაავადებული პაციენტების, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებულ პირებს, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 11 ის დაავადებულ პირებს, ბრონქიალური ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე პირებს, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მქონე პირებს, თვალის ქრონიკული დაავადების (გლაუკომა) მქონე პირს სამედიცინო კოდი H-40 დან-H 42 ის ჩათვლით; H42; (თანხის გაზრდა).

06 01 06 დიალეზზე მყოფი ადამიანების ერთჯერად ფულად დახმარებაზე თანხის გაზრდა.

06 02 04 მრავალშვილიანი ოჯახებისთვის გამოყოფილი თანხის გაზრდა.

მურაზ ღოლიჯაშვილი

1. სოფელ კარალეთში 34-ე ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწესრიგება (წვიმის დროს ხდება სახლების დატბორვა, რამდენიმეჯერ მოხდა მაშველების გამოძახება).

2. სოფელ კარალეთის #1 და #2 საბავშო ბაღების ეზოების მოწესრიგება (შეიცავს საფრთხეებს).
3. მოსაწესრიგებელია ასევე სოფელ პატარა გარეჯვრის საბავშო -ბაღის ეზო.

ნიკა გოგინაშვილი

1. შიდა საუბნო გზების მოწყობა თამარ მეფის მე-5 კვარტალი ბინა #17-ის #17ა, #18 და #19-სი მიმდებარედ და სკვერის რეაბილიტაცია.
2. შეძლებისდაგვარად გაიზარდოს სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხა, რათა მეტად მოხდეს არსებული კლუბების განვითარების ხელშეწყობა.

ნინო წიკლაური

1. ხიდისთავის კულტურის სახლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხები მიმართული იყოს ქალაქ გორის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციისთვის.
2. გაიზარდოს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ბიუჯეტი, რათა მოხდეს სამუსიკო სკოლების პედაგოგების ხელფასების ზრდა.
3. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ,კულტურის განყოფილებაში არსებული თანხები გადანაწილდეს როგორც დაგეგმილი დიდი, ასევე მცირე ღონისძიებებისთვის (როგორიც არის რომელიმე გამოჩენილი პირის იუბილე და აშშ) .

ლეილა მამულაშვილი

1. მელიქიშვილის ჩიხი N 31_ დან - N19_ მდე სახლების მიმდებარედ მდინარე თორთლაზე გაბიონების მოსაწყობად თანხის გამოყოფა.
2. ვაჟა- ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია (80 მ).

ზვიად მღებრიშვილი

1. სოფელ ქვახვრელში სკვერის მიმდებარედ 750 მ (350-350 მ) ორი გზის მოასფლატება.
2. სოფელ ქვახვრელის სკოლის ეზოს შემოღობვა.
3. სოფელ ქვახვრელში ღია საჭიდაო არენის მოწყობა.

ფრაქცია „ხალხის ძალა“

მამუკა ბაზანდარაშვილი

1. ომის ვეტერანებისთვის მუნიციპალურ ტრანსპორტით მგზავრობაზე და პარკირებასთან დაკავშირებით შეღავათების დაწესება.
2. სოფელ კარალეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება - 200 მეტრი.
3. სოფელ კარალეთში, ყოფილი ერისთავების სასახლის რეაბილიტაცია.
4. კარალეთის #1 საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა.

აარონ ძორელაშვილი

1. ქვეითთა გადასასვლელების და ღერძულა ხაზის მონიშვნების განახლება ხარისხიანი საღებავით.
2. კომბინატის დასახლებაში, გორგასლის #16-ში ეზოს მოასფალტება.

გიორგი ანიაშვილი - პარტია „კონსერვატორები“

სოფელ ტინისხიდის მე-13 ქუჩაზე 2023 წლის პროექტის ფარგლებში გზის საფარის დაგების სამუშაოები დასრულებული არ არის დაახლოებით **200–250 მეტრი** მონაკვეთის ფარგლებში. აღნიშნული მონაკვეთი ვერ მოხვდა მიმდინარე წლის მეორე პროექტშიც, რომლის ფარგლებში გზა იგება საპირისპირო მხრიდან. შედეგად, როცა მთელი უბნის მასშტაბით გზის საფარი პრაქტიკულად ყველგან მოეწყო, **ამ კონკრეტული 200–250 მეტრიანი მონაკვეთი ისევ მოუწყობელია**.

აღნიშნულ მონაკვეთზე ცხოვრობს **5 ოჯახი**, რომლებიც გამოხატავენ უკმაყოფილებას არსებული მდგომარეობის გამო. ასევე უკმაყოფილოა ქუჩის სხვა ნაწილშიც მცხოვრები მოსახლეობა, რადგან იმ სახლებთან, სადაც გზა უკვე მოწყობილია—მოსახლეობას მაინც უწევს ტალახიან მონაკვეთზე გავლა. აუცილებელია გზის საფარის სრული მოწყობა აღნიშნულ მონაკვეთზე.

გარდა ამისა, ამ მონაკვეთს ესაჭიროება **წვიმის წყლის საწურველი,** რომელიც უნდა შეუერთდეს უკვე არსებულ სისტემას (მდებარეობს დაახლოებით 200 მ-ის მანძილზე). წინააღმდეგ შემთხვევაში, წყლის დაგუბება დამატებით ზიანს გამოიწვევს.

გელა შარვაშიძე - პარტია „ძლიერი საქართველო ლელო“

1. მუნიციპალურ ტრანსპორტზე და პარკინგზე შეღავათების დაწესება ვეტერანებისთვის.
2. სადგურის დასახლებაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე დაწყებულია მეწყერული პროცესი, იშლება მიწა, საჭიროებს გამაგრებას დაუყონებლივ.